მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №169

2022 წლის 31 მაისი

ქ. მცხეთა

**მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნავდარაანთკარში არსებულ ტერიტორიაზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

---

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი''-ს 43-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-5 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მომართვის (№34-3422144231. 24.05.2022წ) საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნავდარაანთკარში არსებულ ტერიტორიაზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 72.04.41.175; 72.04.18.491) ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე.

2. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. ქ.მცხეთა, სამხედროს ქ №17.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი კვახაძე